თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ. თელავი 2019 წლის 15 თებერვალი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

გიგა მამუკელაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, მიხეილ გრემელაშვილი, ლევან , ლილუაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ფიქრია ყურშიტაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს: გ. მამუკელაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს: გ. მამუკელაშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ფიქრია ყურშიტაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი განისაზღვრება 70 000 ლარით და ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას კერძოდ:

1. კულტურული ინიციატივები რომელიც გულისხმობს სხვადასხვა სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებისგან შემოსული ინიციატივების ფინანსურ მხარდაჭერას. წლის განმავლობაში დაფინანსდება 12 600 ლარის ოდენობით
2. ფესტივალი ,,ხელოვნება და შემოქმედება ბიუჯეტი განისაზღვრა 29 900 ლარის ოდენობით, რომელიც 2019 წელს პირველად დაიგეგმა, წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტში კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო და კერძო სკოლების სახელოვნებო სკოლების შემოქმედების კუთხით მუშაობის ერთგვარ ანგარიშს, ღონისძიების მიზანია მოსწავლეებში კიდევ უფრო გაზარდოს მოტივაცია და ინტერესი ხელოვნების მიმართ
3. არქეოლოგიური ბანაკი (გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი) რომლის განხორციელების პერიოდია ივლისი-აგვისტო ბიუჯეტი განსაზღვრულია 27 500 ლარით, აღნიშნული კულტურულ საგანმანათლებლო პროექტი ხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, აჭარის მუზეუმების გაერთიანების მხარდაჭერით. მასში მონაწილეობას მიიღებენ თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები რომელთაც საშუალება მიეცემათ 10 დღის განმავლობაში მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა არქეოლოგიის შესახებ, აგრეთვე გაეცნონ აჭარაში მდებარე მუზეუმ

ნაკრძალს და დაათვალიერონ 5 მუზეუმი ესენია: ლაზური ეთნოგრაფიული მუზეუმი, გონიო აფსაროსის მუზეუმ ნაკრძალი; ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ციხისძირის ნაქალაქარი).

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის წარდგენა საკრებულოსათვის განსახილველად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის აუცილებლობა გამოწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული 2019 წლის 22 იანვრის სამართლებრივი დასკვნით, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილების ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა ხარვეზები სარიტუალო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამასა და წაწარმოო ტრამვის შედეგად დაშავებულ პირთა დახმარების ქვეპროგრამაში.

მოქმედი რედაქციით, სარიტუალო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამის თანახმად, უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში, განცხადების წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია გარდაცვლილის მეზობელს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს. ამ დახმარების ბენეფიციარად გარდაცვლილის მეზობლის განსაზღვრამ მომავალში შესაძლოა წარმოშვას გაუგებრობა, ამიტომ აღნიშნულ ქვეპროგრამაში შეტანილ უნდა იქნას ცვლილება და უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში განცხადების წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს მხოლოდ შესაბამის ადმინისტრაციულ

ერთეულში მერის წარმომადგენელს, გარდაცვლილის ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამართლებრივ დასკვნაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ საწარმოო ტრამვის შედეგად დაშავებულ პირებზე ფულადი თანხა უნდა გაიცეს შესაბამისი საბიუჯეტო წლის ასიგნებებიდან და არა როგორც სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარება, ამიტომ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამიდან ამოღებული უნდა იქნას საწარმოო ტრამვის შედეგად დაშავებულ პირთა დახმარების ქვეპროგრამა.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის წარდგენა საკრებულოსათვის განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გიგა მამუკელაშვილი